

საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების

ტრენინგ-კურსი

კურსის სახელწოდება:	სპორტული ნუტრიციოლოგია და კანონმდებლობა Sports Nutrition and Legislation
კურსის მოცულობა:	18 აკადემიური საათი, ლექცია 6; სემინარი 6
კურსის ხელმძღვანელები	თამარ ჩაჩიბაია, ასოცირებული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, სერთიფიცირებული ექიმი ენდოკრინოლოგი ტელ: 599290552 email: nanogeorgia@gmail.com
კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები (CV)	თამარ ჩაჩიბაია, ასოცირებული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
სამიზნე ჯგუფი:	სპორტული გუნდების წევრები და მწვრთნელები, ასევე, ყველა დაინტერესებული პირი, რომელიც მუშაობს კონსულტანტად სპორტულ გუნდებში ან მოყვარულთა კლუბებში, აგრეთვე, ინდივიდუალურად სპორტულ შეჯიბრებებში და ფიზიკურ აქტივობებში ჩართული ადამიანები.
კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის:	არ მოითხოვება
კურსის მიზანი:	პროგრამის მიზანია დამატებითი კვალიფიკაციის მოპოვება სპორტული მედიცინის ნუტრიციოლოგიის და ამასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულირებაში კომპეტენციის შესაძენად, რომელიც მსმენელს საშუალებას მისცემს მიღებული ცოდნა გამოიყენოს სპორტულ შეჯიბრებებში ჩართული ათლეტების წვრთნების დროს, ასევე, მოყვარულებისთვის, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ფიზიკური მონაცემების გასაუმჯობესებელი საშუალებების მართლზომიერი მოხმარებისთვის.
კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:	პროგრამა უზრუნველყოფს სპეციალიზირებული განათლების მიღებას სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებულ რისკის მენეჯმენტში, რაც მსმენელს დაეხმარება თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში საბაზისო პრინციპების გამოყენებისთვის სპორტული წვრთნებისას და ზოგადად სპორტულ მედიცინაში. ასევე საკანონმდებლო რეგულაციის მექანიზმების ათვისებაში.

	<p>საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ამოცანაა სპეციალისტის ჩამოყალიბება, რომელსაც შესწევს უნარი დამოუკიდებლად მართოს სპორტული დატვირთვის ისეთი რეჟიმი, მოახდინოს დაკვირვება და მონიტორინგი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე შესაძლო ჯანმრთელობის და სიცოცხლის რისკის თავიდან აცილების მიზნით. ამისათვის სწორად წარმართოს კვების რეჟიმი ენერგეტიკული ხარჯვის შესაბამისად, განსაკუთრებით დიაბეტის დროს, მაგალითად, სკოლის სპორტულ ჯგუფში; მართოს ჰიდრატაციის ბალანსი და მისცეს ადეკვატური რეკომენდაციები მოთხოვნილების მიხედვით; დისბალანსისა და დარღვევების შემთხვევაში დროულად გამოავლინოს მიზეზი და მიიღოს აუცილებელი ზომები ჯანმრთელობის სტაბილურობის შესანარჩუნებლად. იცოდეს შეჯიბრების წინ სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა და შეძლოს შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა. მსმენელი დაეუფლება და პრაქტიკულად გამოიყენებს ცოდნას იმ ნორმების, საკანონმდებლო აქტების და რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც არეგულირებენ განსაკუთრებულ ვითარებებში მედიცინასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.</p> <p>კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს შეადგინოს რისკის შეფასების და მართვის გეგმა; აწარმოოს დოკუმენტაცია რისკის მენეჯმენტთან დაკავშირებით; ფლობდეს განახლებულ ინფორმაციას აკრძალული წამლების, მეთოდების და საშუალებების შესახებ, რომლებსაც აქვეყნებს მსოფლიო ანტი-დოპინგის სააგენტო (WADA), რათა შეეძლოს წესების დაცვით დანიშნულების და რჩევების მიცემა სპორტული შეჯიბრის მონაწილეთათვის.</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, რათა მსმენელმა გამოავლინონ კომპეტენტურობა სპორტულ ვარჯიშთან დაკავშირებულ ნუტრიციოლოგიისა და ჰიდრატაციის ასპექტების ცოდნაში. მათ უნდა გააჩნდეთ უნარი, რათა ასწავლონ სხვებსაც, მაგ., ექთნებს, დაინტერესებულ სამედიცინო პერსონალს, სხვა ექიმებს, სტუდენტებს, ამასთანავე, საზოგადოებრივი სპორტული გაერთიანებების წევრებს: მწვრთნელებს, სპორტსმენებს, ინსტრუქტორებს, სხვა პროფესიონალებს, პაციენტის/სპორტსმენის ოჯახის წევრებს, მშობლების ჩათვლით.</p>
სწავლის შედეგები:	კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ მიღებული ცოდნა მსმენელს დაეხმარება თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში საბაზისო პრინციპების

	<p>გამოყენებისთვის სპორტული წვრთნებისას და ზოგადად სპორტულ მედიცინაში. ასევე საკანონმდებლო რეგულაციის მექანიზმების ათვისებაში.</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, რათა მსმენელმა გამოავლინოს კომპეტენტურობა სპორტულ ვარჯიშთან დაკავშირებულ ნუტრიციოლოგიისა და ჰიდრატაციის ასპექტების ცოდნაში. მსმენელი შეიძენს უნარ-ჩვევებს იმისთვის რომ დამოუკიდებლად მართოს სპორტული დატვირთვის რეჟიმი, მოახდინოს დაკვირვება და მონიტორინგი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე შესაძლო ჯანმრთელობის და სიცოცხლის რისკის თავიდან აცილების მიზნით. ამისათვის სწორად წარმართოს კვების რეჟიმი ენერგეტიკული ხარჯვის შესაბამისად, განსაკუთრებით დიაბეტის დროს, მაგალითად, სკოლის სპორტულ ჯგუფში; მართოს ჰიდრატაციის ბალანსი და მისცეს ადეკვატური რეკომენდაციები აუცილებლობის მიხედვით; დისბალანსისა და დარღვევების შემთხვევაში დროულად გამოავლინოს მიზეზი და მიიღოს აუცილებელი ზომები ჯანმრთელობის სტაბილურობის შესანარჩუნებლად.</p> <p>კურსდამთავრებული შეიძენს კომუნიკაციის უნარს მისი ურთიერთობისას როგორც სპორტსმენთან, ასევე მთლიანად სპორტულ გუნდთან მუშაობისას, რომლებიც წარმოიქმნება სპორტული მედიცინის სპეციალისტის მოღვაწეობის დროს მაშინ, როდესაც პასუხისმგებლობა თანაბრად ნაწინდება გუნდის ყველა წევრზე. განსაზღვრულია ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც შეეხება სამსახურებრივ გულგრილობას, დაუდევრობას, კონფიდენციალურობას, ანტი-დისკრიმინაციულ კანონს და სხვა.</p> <p>კურსის სწავლების პირველადი ინტერესის სფეროა ისეთი ღირებულებების ჩამოყალიბება, როგორებიცაა საკანონმდებლო და ეთიკური საკითხების ანალიზი სპორტული მედიცინის სფეროში, რომლებიც განიხილება დამოუკიდებელ დარგობრივ კონტექსტში, ე.ი სპორტულ პრობლემატიკასთან მჭიდრო კავშირში, რაც აღნიშნულ დისციპლინას განასხვავებს ზოგადი სამედიცინო ეთიკისა და სამართლისაგან.</p>
<p>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:</p>	<p>კურსის სწავლებაში გამოიყენება ლექციები, სემინარები და პრაქტიკული მეცადინეობები სტუდენტების ინტერაქტიული ჩართულობით. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისთვის მსმენელებს მიეცემა საშუალება ქეისების საშუალებით.</p> <p>კურსი მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ მოდულებს. ჩატარდება ლექციები და ინტერაქტიული პრაქტიკული სემინარები. ძირითადად გამოიყენება პროექტზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების მეთოდი. დამუშავდება და გაანალიზდება წინასწარ შერჩეული ქეისები.</p> <p>სასწავლო მასალა ხელმისაწვდომი იქნება moodle-ს ელექტრონული სწავლების პორტალზე, სადაც განთავსდება თეორიული მასალები, ასევე, მსმენელების მიერ ატვირთული დავალებები, რის საფუძველზეც მოხდება შეფასება.</p>
<p>სერტიფიკატის მინიჭების</p>	<p>დასწრება 5%; პრაქტიკული უნარ-ჩვევები 10%; აქტივობა/პრეზენტაცია/ ზეპირი გამოკითხვა 15%;</p>

<p>მოთხოვნები:</p>	<p>შუალედური გამოცდა, პრეზენტაცია 30%; საბოლოო გამოცდა 40%; საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა 11%</p> <p>სასწავლო კურსის შეფასება 100 ქულიანი სისტემით : სასწავლო კურსის შეფასება: შეფასების სისტემა ეფუძვნება შეფასების აღიარებულ კანონით განსაზღვრულ მოდელს, რაც გულისხმობს: ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%; ორი სახის უარყოფით შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საბოლოო შეფასება განისაზღვრება ზეპირი პრეზენტაციით. გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების და საბოლოო შეფასების მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა. სერთიფიკატის მიღება შესაძლებელია შეფასებაზე >51 ქულა. არასაპატიოდ ითვლება 1-ზე მეტი გაცდენა. სამი დაგვიანება უტოლდება ერთ გაცდენას.</p>
<p>კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:</p>	
<p>ძირითადი ლიტერატურა</p>	<p>1) თამარ ჩაჩიბაია, ვლადიმერ ცერცვაძე, (2015) ჯანსაღი კვება სპორტული აქტივობების დროს და ფიზიკური მონაცემების გამაძლიერებელი საშუალებები. 2) თამარ ჩაჩიბაია. კვება და ცხოვრების ჯანსაღი წესი. დიაბეტი და მისი მართვა. 1999 წელი. ISBN 99928-64-02-8</p>
<p>დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p>	<p>ხელმისაწვდომია დისტანციური სწავლების პორტალზე კურსზე დარეგისტრირებული სტუდენტებისთვის. (ქართულად და ინგლისურად) იხ. დანართი ლიტერატურის მითითებით</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია/პირობები</p>	<p>კურსის სასწავლო მასალა უზრუნველყოფილია ლექციების პრეზენტაციების სახით უნივერსიტეტის დისტანციური სწავლების პორტალზე, რომელიც ხელმისაწვდომია კურსში ჩართული ყველა მსმენელისთვის. ადაპტირებული და ქართულ ენაზე თარგმნილი მასალა ასევე ატვირთული პორტალზე. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კურსის სასწავლო გეგმა და სილაბუსი.</p>

კურსის სტრუქტურა და შინაარსი

I მოდული (იმ შემთხვევაში თუ კურსი რამდენიმე მოდულისაგან შედგება)

(მიუთითეთ ძირითადი საკითხები, საათების რაოდენობა თითოეული საკითხისათვის, ლიტერატურა)

#	თემა / სესია	საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის	მეთოდები	სასწავლო მასალა*
1	<p>კვების საფუძვლები, განსაკუთრებით სპორტულ ვარჯიშსა და წვრთნასთან დაკავშირებით, დიეტური რეჟიმის მართვა.</p> <p>ფიზიკური მდგომარეობის და აგებულების შეფასება. სხეულის აგებულების შეფასების კრიტერიუმები. ფიზიკური სტატუსის შეფასება. სხეულის წონის კონტროლი. დიეტური მოთხოვნები სხვადასხვა სპორტული ვარჯიშებისა და წვრთნების დროს; ვიტამინები, მინერალები, ანტი-ოქსიდანტები.</p> <p>ერგოგენული საშუალებები; დიეტა, გლიკოგენის მარაგი და გამძლეობა; გლიკოგენის მარაგის აღდგენა. ცხიმის მაღალი შემცველობის დიეტა და ვარჯიში.</p> <p>ცილები და ანაბოლური დიეტები. დამატებითი ჩანაცვლებითი საკვები საშუალებები; ფიზიკური მონაცემების გასაუმჯობესებელი სუბსტანციების გამოყენების ნორმა და მათი არასწორი გამოყენება.</p> <p>სპორტსმენების შემოწმების მნიშვნელობა ანტი დოპინგ კონტროლი და ლაბორატორიული დიაგნოსტიკა.</p> <p>ერგოგენული საშუალებები. ანაბოლური სტეროიდები. ფარმაკოლოგია და მედიკამენტების ეფექტი, ფიზიკური მონაცემების გასაუმჯობესებელი სუბსტანციები გამძლეობის და ამტანობისთვის სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დროს.</p>	<p>ლექცია 2 აკად. სთ. და 1 აკად. სთ.</p> <p>ინტერაქტიული სემინარი</p>	<p>ლექცია, ინტერაქტიული გამოკითხვა, პრეზენტაცია, სტატიის გარჩევა</p>	<p>იხ. მითითებული ძირითადი ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია და განთავსებულია moddle-ს პორტალზე კურსში დარეგისტრირებული მსმენელებისთვის</p>
2	<p>ენერგეტიკული მოთხოვნების ადეკვატური დაკმაყოფილება. ოპტიმალური ფიზიკური</p>	<p>ლექცია 2 აკადემიური საათი და 1 აკადემიური</p>	<p>ლექცია, ინტერაქტიული</p>	

	<p>მდგომარეობის შენარჩუნება. ენერჯის გარდაქმნის და ხარჯვის თავისებურებები ვარჯიშის დროს. ენერჯის მარაგის სპეციფიური დეპოები. ენერგეტიკული ღირებულების გაზომვა ფიზიკური დატვირთვის დროს. ენერჯის უტილიზაციის დათვლა. კალორიების ხარჯის დათვლა. ვარჯიშის მეტაბოლიზმის /ნეირომუსკულარული აქტივობის შეფასება. ვარჯიშის დატვირთვის მონიტორინგი, წვრთვნების დროს და ზედმეტი გადატვირთვის დროს. კვების რეჟიმი ხანგრძლივი რბოლების დროს. სპორტული ფარმაკოლოგია - ტკივილის და ანთების მკურნალობა. ვარჯიში, შეჯიბრი და წვრთნები არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში.</p>	<p>საათი ინტერაქტიული სემინარი</p>	<p>გამოკითხვა, პრეზენტაცია, სტატიის გარჩევა</p>	
<p>3</p>	<p>სითბური დარტყმა, გადახურება, დეჰიდრატაცია. ჰიდრატაციის ნორმალური რეჟიმის შენარჩუნება და დაცვა. ჭარბი სითხის მიღების საშიშროება. ჰიპონატრიემიის მიზეზები. კვება და ვარჯიში გარემოს ექსტრემალურ პირობებში. ბუნებრივი დამხმარე საშუალებები, ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობის ოპტიმიზაციისთვის. მასტიმულირებელი სუბსტანციები, აპლიკაციები, ერგოგენული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება განსაკუთრებულ ვითარებებში (დიდი სიცხე, მომატებული ტენიანობა, მაღალი ატმოსფერული დონე).</p>	<p>ლექცია 2 აკადემიური საათი და 1 აკადემიური საათი ინტერაქტიული სემინარი</p>	<p>ლექცია, ინტერაქტიული გამოკითხვა, პრეზენტაცია, სტატიის გარჩევა</p>	
<p>4</p>	<p>ფიზიკური სტატუსის მოთხოვნები სხვადასხვა აქტივობების დროს. სპეციალური გასათვალისწინებელი კრიტერიუმები ასაკის, სქესისა და უნარშეზღუდვების მიხედვით. ზრდა და განვითარება სპორტულ ვარჯიშთან და დიეტასთან კავშირში. ჭარბი წონა, სიმსუქნე, ვარჯიში და წონის კონტროლი. წონის მაკორეგირებელი საშუალებების მიმოხილვა. წარბი წონის კონტროლი ფიზიკური ვარჯიშის დახმარებით (არასპორტსმენებში).</p>	<p>ლექცია 2 აკადემიური საათი და 1 აკადემიური საათი ინტერაქტიული სემინარი</p>	<p>ლექცია, ინტერაქტიული გამოკითხვა, პრეზენტაცია, სტატიის გარჩევა</p>	

5	<p>კვება და მისი ეფექტი ენდოკრინულ სისტემაზე. ჰორმონები და ენდოკრინული სისტემა ვარჯიშის დროს. შაქრიანი დიაბეტის მართვა ვარჯიშის დროს. ჰიპოგლიკემიური კომის პრევენცია ინსულიდამოკიდებული დიაბეტის დროს ბავშვებში. სასწრაფო ღონისძიებები მწვავე დიაბეტური გართულებების დროს ბავშვებში.</p>	<p>ლექცია 2 აკადემიური საათი და 1 აკადემიური საათი ინტერაქტიული სემინარი</p>	<p>ლექცია, ინტერაქტიული გამოკითხვა, პრეზენტაცია, სტატიის გარჩევა</p>	
6	<p>პათოლოგია და პათოფიზიოლოგია ავადმყოფობების დროს, რომლებიც ვარჯიშთან არის დაკავშირებული. ავადმყოფობის გავლენა ვარჯიშზე, როგორცაა, მაგ. დიაბეტი, გულის დაავადება, ართრიტი, ასევე ვარჯიშის გამოყენება სამედიცინო პრობლემების გადასაჭრელად. დიაბეტი და სპორტული შეჯიბრი. ენდოკრინული კორექცია ვარჯიშის დროს. ალკოჰოლის გავლენა სპორტულ ვარჯიშზე. ქალის რეპროდუქციული სისტემა და ორსულობა სპორტის დროს. ორსულობა და სპორტული შეჯიბრი. ვარჯიში ორსულობის დროს. სპორტსმენი ქალებისთვის დამახასიათებელი ტრიადა. კვების დარღვევები, (ბულიმია და ანორექსია) ამენორეა, ოსტეოფოროზი, (სტრესული მოტეხილობები).</p>	<p>ლექცია 2 აკადემიური საათი და 1 აკადემიური საათი ინტერაქტიული სემინარი</p>	<p>ლექცია, ინტერაქტიული გამოკითხვა, პრეზენტაცია, სტატიის გარჩევა</p>	

ლიტერატურა:

<p>სავალდებულო ლიტერატურა:</p>	<p>Contemporary Nutrition: Issues and Insights, 6/e Gordon M. Wardlaw, The Ohio State University Anne M. Smith, The Ohio State University ISBN: 0072501855 Copyright year: 2006</p>
<p>დამატებითი ლიტერატურა:</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ACSM (2004). ACSM's Health-related Physical Fitness Assessment Manual. (2004). Baltimore, USA: Lippincott, Williams and Wilkins 2. Bartlett, R.M. (1997). Introduction to Sports Biomechanics. London: E & FN Spon 3. Griffin, J.(2001) Food for Sport, Eat Well, Perform Better. Marlborough: The

	<p>Crowood Press,</p> <ol style="list-style-type: none"> 4. Jeukendrup, A, Gleeson, M. (2005) Sports Nutrition. An Introduction to Energy Production and Performance. Leeds: Human Kinetics, 5. Maughan, RJ, Burke, LM. (2002) Sports Nutrition – Handbook of Sports Medicine and Science. Oxford: Blackwell Publishing, 6. McArdle, W.D. Katch, F.I. and Katch, V.L. (2001). Exercise Physiology, Energy, Nutrition & Human Performance (5th edition) Philadelphia, USA: Lippincott, Williams and Wilkins 7. Stear, S. (2004) Fuelling Fitness for Sports Performance. (Available through www.trainforsport.co.uk) 8. Drinking Too Much Water/GSSI 9. Hyponatremia in Athletes/Bob Murray, John Stofan, E. Randy Eichne 10. Hyponatremia in Sport: Symptoms and Prevention/E. Randy Eichner, M.D., Ethan Nadel, Ph.D., Robert Laird, M.D., FAAP, Tim Noakes, M.D., Doug Hiller, M.D.
<p>ინტერნეტის საიტები</p>	<p>Dieticians in Sport & Exercise Nutrition (DISEN) www.disen.org</p> <p>BDA website www.bda.uk.com</p> <p>British Journal of Sports Medicine (www.bjism.bmjournals.com)</p> <p>Sportex (www.sportex-medicine.com)</p> <p>UK Association of Doctors In Sport (www.ukadis.org)</p> <p>British Association of Sport and Exercise Medicine (www.basem.co.uk)</p> <p>Federal Governments Dietary Guidelines (http://mypyramid.gov)</p>
<p>სავალდებულო ლიტერატურა სამართლებრივ საკითხებში:</p>	
	<ol style="list-style-type: none"> 11. Grayson, E. (1998). Ethics, Injuries and the Law in Sports Medicine. USA, Butterworth Heinemann. 12. Doping and the WADA Banned List - World Anti-doping Agency (www.wada-ama.org) 13. Code of Ethics of International Federation of Sports Medicine (FIMS) (http://www.fims.org) 14. Gardiner et al (2001) Sports Law 2nd edn, London: Cavendish. 15. Grayson, E (2001) School Sport and the Law Kingston: Croner. 16. Grayson, E (2000) Sport and Law 3rd edn, London: Butterworths. 17. Greenfield S and Osborne G (eds) (2000) Sport and Law in Contemporary Society London: Frank Cass. 18. Hartley H J (2001) 'Legal Principles and Issues: Managing Disciplinary in Sport and Recreation'. In P Bramham, K Hylton, D Jackson and M Nesti (eds) Sport and Recreation: Policy, Principles and Practice 171-194. London: Routledge. 19. McArdle, D (2000) From Boot Money to Bosman: Football, Society and the Law London: Cavendish. 20. Moore, C (2000) Sports Law and Litigation 2nd edn, Welwyn Garden City. 21. O'Leary J (ed) (2001) Drugs and Doping in Sport: A Socio-legal Perspective

London: Cavendish.

22. O'Leary J (ed) (2001) *Drugs and Doping in Sport: A Socio-Legal Perspective*
London: Cavendish Publishing.

23. Kevan, J, Adamson, D and Cottrell (2002) *Sports Personal Injury, Law and Practice*
London: Sweet and Maxwell.

24. Pittman, A T, Spengler, J O, Young, S J (2002) *A Casebook Approach to Legal Concepts in Sport: The Most Important Cases of the 20th Century* Gainesville, Florida: Florida Bookstore (Text and workbook and CD Rom).

ინტერნეტის საიტები

Sports Law Bulletin (Anglia Sports Law Research Centre, APU)

<http://web.apu.ac.uk/sportslaw/SLBCont.htm>

International Sports Law Review

<http://iasl.org/modules.php?name=Sections&op=viewarticle&artid=14>

International Sports Law Journal (Journal of the Asser Institute, International Sports Law Centre, The Hague, Netherlands)

http://www.sportslaw.nl/index.asp?c_nr=3&l2=

Journal of Legal Aspects of Sport (Journal of the SSLASPA) USA

<http://law.marquette.edu/cgi-bin/site.pl?2130&pageID=1078>

Marquette Sports Law Review (National Sports Law Institute, Milwaukee, WI., USA)

<http://law.marquette.edu/cgi-bin/site.pl?2130&pageID=190>

ANZSLA Commentator (Journal of ANZSLA)

http://www.users.bigpond.com/anzsla/anzsla_commentator_update.htm

International Sports Law Centre

<http://www.sportslaw.nl/>

Centre for Sport and Law, Canada

<http://www.sportlaw.ca/>

Australia and New Zealand Sports Law Association (ANZSLA)

<http://www.cat.lib.unimel.edu.au>

<http://www.anzsla.com.au/>

International Sport Lawyers Association (ISLA)

<http://www.spurt.de>

<http://www.isla-int.com/>

The Sports Ethics Institute

<http://www.sportsethicsinstitute.org/>

Canadian Centre for Ethics in Sport

<http://www.cces.ca>

Ethics in Sport Australian Sports Web Information

<http://www.ausport.gov/info/ethics.htm>

Australian Commission on Violence in Sport.

<http://www.ausport.gov.au/info/topics/violence.asp>

Society for the Study of Legal Aspects of Sport and Physical Activity (SSLASPA)

<http://srlaweb.org/>

- იხ. დანართის სახით წარმოადგენილი ერთ-ერთი თემის / სესიის სასწავლო მასალის სრული კომპლექტი. „სპორტული ნუტრიციოლოგია“.

**არჩევითი
პრაქტიკა (10 საათი)**

სასერთიფიკატო კურსის მსმენელები იქნებიან ჩაბმულნი კლინიკურ პრაქტიკულ ტრენინგებში. პირველადი სპეციალიზაციის სფეროში ცოდნის დასახვეწად მათ მოეთხოვებათ კვირაში ერთი დღე სემესტრის განმავლობაში კონსულტაციებზე დასწრება, რომლებიც ეხება კვების დაგეგმვას, მეტაბოლოზმის შეფასებასა და მასთან დაკავშირებულ დარღვევებს სპორტული ვარჯიშებისა და დატვირთვების დროს. პროგრამა უზრუნველყოფს კლინიკაში ან ამბულატორიულად პაციენტის კონსულტაციაზე მონაწილეობა-დასწრებას.

აუცილებელია მსმენელის ჩართვა და მონაწილეობის მიღება ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა

შეჯიბრის წინ სპორტსმენის სამედიცინო შემოწმება;

კურიკულუმში გათვალისწინებულია, რომ მსმენელები ჩართულნი იყვნენ შეჯიბრის წინ სპორტსმენის სამედიცინო შემოწმების გეგმის შედგენაში, განხორციელებასა და ჩატარებაში.

დახმარების აღმოჩენა სპორტული ასპარეზობის ადგილზე და მასობრივ სპორტულ ღონისძიებებზე

მსმენელები უნდა მონაწილეობდნენ თუნდაც ერთი მასობრივი სპორტული ღონისძიების სამედიცინო მომსახურების სრული მოცულობით უზრუნველყოფის დაგეგმვასა და განხორციელებაში. სტუდენტმა უნდა შეიძინოს გამოცდილება, რათა შეეძლოს სამედიცინო კონსულტაციის გაწევა, დახმარების გაწევა პაციენტისთვის, სამედიცინო ღონისძიებების დაგეგმვა, პრევენციული რჩევების მიცემა, კოორდინირებული და შეთანხმებული მოქმედებები სასწრაფო დახმარების სამსახურებთან, და სხვა ასპექტები. ამისთვის გამოყენებული იქნება თსუ-ს სპორტული გუნდის შეჯიბრებებზე დასწრება.

სპორტული მოვლენები/გუნდური შეხვედრები/მასობრივი სპორტული ღონისძიებები

პროგრამით უზრუნველყოფილია მსმენელის დასწრება სპორტულ შეჯიბრებებზე, გუნდურ ასპარეზობებსა და მასობრივ სპორტულ ღონისძიებებზე, რომელთა დროსაც მათ უჩნდებათ პასუხისმგებლობა სპორტსმენის/პაციენტის ჯანმრთელობაზე. (თსუ-ს სპორტული ღონისძიებების დროს)

მრგვალი მაგიდის შეხვედრები

დაგეგმილია მრგვალ მაგიდასთან დისკუსიებისა და დებატების გამართვა სპორტის სფეროში მოღვაწე ექსპერტებთან და დარგის წამყვან სპეციალისტებთან.

პროგრამის ავტორი : თამარ ჩაჩიბაია

თარიღი : 2018 წლის 02 11, პარასკევი